დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 8

ქ. დმანისი 19 ივლისი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. ოლეგი გოშუანი
3 .აზერ ალიევი
4. ილია სარსევანიძე
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ასლანიშვილი
9. მაკა ოკმელაშვილი
10. შალვა ღამბარაშვილი
11. შოთა აკობაშვილი
12. შახინ კოიალოვი
13. სტამბულ ისაევი
14. გამლეტ ისმაილოვი
15. ემილ იბრაგიმოვი
16. გუმბათ იუსუბოვი
17. თორნიკე ნინიაშვილი
18 შახინ გასანოვი
19. კახა დევნოზაშვილი
20. მიხეილ დაუთაშვილი
21.თეიმურაზ აფრასიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. რამიზ რამაზანოვი
2. ლევან მოსეშვილი
3. გუსეინ ისმაილოვი
4. ლეილა მიქიანი
5. მაია ციხელაშვილი
6. კახა ოქრიაშვილი
7. გურანდა ქოჩორაძე
8. ნატიგ ოვჩიევი
9. მერაბი ფოლადაშვილი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

4	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 -2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი:	**პ.ყულიაშვილი**

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვლმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 ივნისის N1104 განკარგულების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გამოიყენოს უსეინქენდი,პირველი სალამალეიქი, მეორე სალამალეიქი და მამიშლარის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად 297293 ლარის ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთიდან განაწილებული ორგანიზაციულ კოდში 020202 „სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 357,8 ათასი ლარი ნაცვლად განისაზღვროს 314,4 ათასი ლარის ოდენობით,ანუ შემცირდა 43,4 ათასი ლარით, ხოლო ორგანიზაციული კოდი 020401 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და

რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1044,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1041,0 ათასი ლარის ოდენობით,ანუ შემცირდა 3,5 ათასი ლარით. ზემოთ აღნიშნული შემცირებული თანხები- ჯამში 46,9 ათასი ლარი მიმართული იქნა ორგანიზაციულ კოდში 020102 „გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და 2431,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 2478,8 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის14 იანვრის N51 განკარგულების თანახმად „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოეყო 87,0 ათასი ლარი დიდი დმანისის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისათვის,რომელის ასახული იქნა გადასახდელების ორგანიზაციულ კოდში 0403 „საჯარო სკოლების დაფინანსების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და აღნიშნული მუხლი 43,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 130,9 ათასი ლარი ოდენობით.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის №-109.109221642 განკარგულებით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულის 2022 წლის 25 იანვრის №-109220252 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილება შემდეგ ორგანიზაციულ კოდში:

მე-19 მუხლით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული ორგანიზაციული კოდი 020202 „სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 998,5 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 948,6 ათასი ლარით,ანუ შემცირდა 49,9 ათასი ლარის ოდენობით და შემცირებული თანხა გადატანილი იქნა ორგანიზაციულ კოდში 020401 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციის“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და აღნიშნული თანხა 1718,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვრა 1767,9 ათასი ლარით.

მე-19 მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხიდან ორგანიზაციული კოდი 020402 „ავარიული ობიექტების,შენობების რეაბილიტაციის“არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 146,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 154.0 ათასი ლარით,ანუ ზრდამ შეადგინა 8,0 ათასი ლარი,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი 224,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 216,0 ათასი ლარის ოდენობით ანუ შემცირდა 8,0 ათასი ლარით და აღნიშნულ მუხლში მითითებული თანხა გადატანილი იქნეს „სხვა ხარჯების“ მუხლში.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 26816.8 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

2.მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს წევრებმა განიხილეს 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

1. პუნქტი 10 „დმანისის მუნიციპალიტეტში სოფ განთიადში ნაგზაურთან მისასვლელი ბილიკის და შემოღობვის მოწყობა“ სამუსაოების დასრულების შედეგად მორჩენილი ეკონომიაა 5551 ლარი,
2. პუნქტი 26 „მელიორაციისთვის სარწყავი ჰიდრანტების შეძენ“-ის შედეგად მორჩენილი ეკონომიაა 8748 ლარი.
3. პუნქტი 27 „საბავშო ბაღებისთვის გენერატორების შეძენა“ მორჩენილი ეკონომია შეადგენს 14642 ლარი.

ზემოდ აღნიშნული ეკონომიები ჯამში შეადგენს 28941 ლარს და გადანაწილებულია ახალ პუნქტებში, პუნქტი 32 „ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის შენობის, საგანმანათლებლო ცენტრის და სოფ. განთიადში საბავშვო ბაღის თოვლისაგან და ქარისაგან დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები“ 11200 ლარი და პუნქტი 33 „სტიქიის შედეგად (დიდთოვლობა) დაზიანებული ცენტრალურ სტადიონზე არსებული შენობის რეაბილიტაციისთვის“ 17441 ლარი, ჯამში 28941 ლარი.

ასევე გაიზარდა თანხები შემდეგ პუნქტებში:

1. პუქტი 4 „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ დიდ დმანისში გადასახედის მოწყობა“ გაიზარდა სამუშაოების ღირებულება 10 %-ის ფარგლებში დამატებითი სამუშაოების გამო 4500 ლარით.
2. პუნქტი 5 „წმინდა ნინოს ჩიხის N1 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია“ გაიზარდა სამუშაოების ღირებულება 10 %-ის ფარგლებში დამატებითი სამუშაოების გამო 3685 ლარით.
3. პუნქტი 6 „ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N58-ში მდებარე სარეპეტეციო დარბაზის რეაბილიტაცია“ გაიზარდა სამუშაოების ღირებულება 10 %-ის ფარგლებში დამატებითი სამუშაოების გამო 1200 ლარით.
4. პუნქტი 9 „დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია“გაიზარდა სამუშაოების ღირებულება 10 %-ის ფარგლებში დამატებითი სამუშაოების გამო 3638 ლარით.
5. პუნქტი 18 „ქ.დმანისში არსებული მონომენტის რეაბილიტაცია“ პროექტის გადაფასებით ღირებულება გაიზარდა 46371 ლარით.
6. პუნქტი 25 „კამერების და მისი თანმდევი მომსახურების შეძენა“ ბაზრის კვლევის შედეგად გაიზარდა 34000 ლარით.

ზემოდ აღნიშნული პუნქტების ღირებულების ზრდამ შეადგინა 93394 ლარმა, რომელიც გადატანილი იქნა პუნქტ 29 იდან „მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობა“

შენიშვნა: საერთო ღირებულება არ შეცვლილა.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულების დანართი 1 –ში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს წევრებმა განიხილეს მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა, თორნიკე ნინიაშვილმა .

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 -2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 -2023 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.

დანართი თან ერთვის:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

მომხრე: 21

წინაღმდეგი:

სხდომის საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა გამოაცხადა დახურულად.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (დანართი N1)

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	
1	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისის გოგებაშილის ქუჩა N10	82.01.46.072	1800	575.68	40000	
2	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისის აღორძინების ქ. N5	82.01.46.108	1161	1021.34	30000	
3	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა N34	82.01.46.062.01.500		368.74	100000	
4	სასოფლო-სამეურნეო	ქ. ქუჩა მერაბ კოსტავას	82.01.42.356	3556		71120	
5	არასასოფლო სამეურნეო	ქ. ქუჩა წმინდა ნინოს	82.01.42.456	600		24000	
6	სასოფლო-სამეურნეო	ქ. ქუჩა კ. გამსახურდიას	82.01.46.572	2599		51980	
7	სასოფლო-სამეურნეო	ქალაქი ვახტანგ მეფის ქუჩა	82.01.46.716	106		10000	
8	არასასოფლო სამეურნეო	რაიონი დმანისი	82.01.47.031	7431		74310	
9	სასოფლო-სამეურნეო	მუნიციპალიტეტი დმანისი	82.01.47.038	7943		79430	
10	არასასოფლო სამეურნეო	წმინდა ნინოს N12	82.01.46.045	616	485	49280	
11	არასასოფლო სამეურნეო	წმინდა ნინოს	82.01.42.457	4399		144190	
12	არასასოფლო სამეურნეო	გორგასლის N2	82.01.42.038	417	335	22694	
13	არასასოფლო სამეურნეო	9 აპრილის N15	82.01.46.032	369	369	180000	
14	არასასოფლო სამეურნეო	9 აპრილის ჩიხი N4	82.01.46.374	1938	160.46	170000	
15	არასასოფლო სამეურნეო	მთისძირი	82.14.42.269	32811		98433	
16	სასოფლო-სამეურნეო	გოდაგდაგი	82.07.46.297	1002		15330	
17	არასასოფლო სამეურნეო	გამსახურდია N5	82.01.46.046	1037	805	56310	
18	არასასოფლო-სამეურნეო	9 აპრილის ქუჩა N32	82.01.46.485	500	361.12	80000	
19	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	9000	
20	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა	82.01.46.582	149		8000	
21	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. დმანისი	82.01.46.779	817		6536	
22	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. განთიადი	82.13.41.547	820	215	59490	
23	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ახა	82.07.43.265	100874		50437	
24	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ახა	82.07.42.356	48085		24043	
25	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. დმანისი	82.01.46.696	803		6424	
26	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. პანტიანი	82.18.42.424	1695	მშენებარე	69925	
27	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.690	113		10170	
28	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ვაკე	82.14.44.446	1253		3759	
29	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.45.533	359		14360	
30	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ახა	82.07.42.442	20000		9000	
31	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ახა	82.07.42.361	10020		5010	
32	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ახა	82.07.42.440	35270		17635	
33	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. ახა	82.07.42.355	4682		18728	
34	ჯარი	დმანისი ს. გომარეთი		15 (ტონა)		15000	
35	დასახელება	სახელმწიფო N	გამოშვების წელი	საიდენტიფიკაციო N	ფერი	მდგომარეობა	საბაზრო ღირებულება (ლარში)
36	changfeng yangzi flying	DD-503-VD	2011	AM8509198	თეთრი	გამართული	7400

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწები **2022**წ. დანართი **1**

N	მისამართი	კატეგორია	საკადასტრო კოდი	მიწის დანიშნულება(საძოვარი)	მიწის დაზუსტ ფართობი/კვ.მ/	საწყისი ფასი /ლარი/	საგარანტიო /ზე 80%/ /ლარი/	ბიჯი 20% /ლარი/	შენიშვნა
1	მუნიციპალიტეტი დმანისი , ქვემო ოროზმანის ტერიტორია , ნაკვეთი "ლენინოვკა"	სასოფლო-სამეურნეო	82.14.41.305	სათიბი	50085	751	601	150	
2	დმანისი ს. დაგარახლო	სასოფლო-სამეურნეო	82.08.42.880	სათიბი	18679	280	224	56	
3	დმანისი ს. კიზილქილისა	სასოფლო-სამეურნეო	82.11.41.206	სათიბი	48576	729	583	146	
4	დმანისი ს. დაგარახლო	სასოფლო-სამეურნეო	82.08.42.879	სათიბი	14994	225	180	45	

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 -2023 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	საქმიანობის ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულების ვადა
1.მუნიციპალიტეტში შეიქმნას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები	1. 1 გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი	1.1.1 დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა	1.1.1.ა. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წ. 6 თებერვლის N 24 დადგენილებით დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება მოყვანილია შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან 1.1.1.ბ. დადგენილია საბჭოს მდივნის ფუნქციები 1.1.1.გ. გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები რეგლამენტირებულია 1.1.1.დ გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში, საბჭოს ამოცანების, ფუნქციების და უფლებამოსილებების მოცულობა დამატებულია გაეროს უბინაშორების საბჭოს რეზოლუციის 1325 - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება ლოკალიზაციის ხელშეწყობის პუნქტი		მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის მერია	2022 - 2023წ.

		1.1.2 დმანისის მუნიციპლიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022–2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება	1.1.2.ა. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია საბჭოს წევრებთან, მუნიციპალიტეტში გენდერის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციით; 1.1.2. ბ. გეგმა განხილულია და დამტკიცებულია საბჭოს მიერ.	მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		1.1.3 უზრუნველყოს საკრებულოს ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება	საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საბჭოს საქმიანობის და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, პუბლიკაციები, ანალიტიკური მასალები, საბჭოს სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და ფოტო მასალა	მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის მერია		

		1.1.4. კოორდინირებული მუშაობა საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოსთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება საკონტაქტო პირების ქსელის ფუნქციონირება, როგორც სახელმწიფო ორგანოებთან ასევე სხვა მუნიციპალიტეტებთან	1.1.5.ა. საბჭოს სხდომის ოქმები საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის პროექტისა და საქართველოს პარლამენტის გენდერული საბჭოდან მიღებული წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვის შესახებ 1.1.6.ბ. საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭში გაგზავნილი წინადადებები და მათგან მიღებული რეკომენდაციები 1.1.6.გ. სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა მუნიციპალიტეტებთან შექმნილია ურთიერთთანამშრომლობისა და კომუნიკაციის ქსელი	დმანსისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო		
		1.1.6. მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად მერიისთვის, საკრებულოსათვის ან/და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის მომზადებული და წარდგენილია წინადადებები და რეკომენდაციები	1.1.6.ა. წარდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები 1.1.7.ბ. საკრებულოს, მერიის ან/და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გათვალისწინებული წინადადებები და	დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	

	1.2 მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გათვალისწინებულ იყოს გენდერული მიდგომები. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა	1.2.1. მუნიციპალიტეტში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა) იპ–ებში კადრების შერჩევის, ატესტაციის და სამსახურში აყვანის დროს გათვალისწინებულ იყოს გენდერული სპეციფიკა	1.2.1.ა შეიქმნას საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზა და მოხვდეს მისი პერიოდული განახლება 1.2.1. ბ. საჯარო მოხელეთა სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, განთავსდეს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე 1.2.1.გ საკონკურსო საატესტაციო კომისიის ერთ–ერთ წევრად განსაზღვრული იყოს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე პირი 1.2.1.დ პროფესიული მომზადება–გადამზადების პროგრამებში გათვალისწინებულ იყოსქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა	მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო მუნიციპალიტეტის საკრებულო		
			1.2.3. ა. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.2.3.ბ. გამოვლენილ ლიდერ ქალთა რაოდენობა 1.2.3. გ. შეხვედრებში მონაწილე ქალთა და მათ მიერ დასახელებულ პროექტების რაოდენობა	გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	
		1.2.4. მოსახლეობასთან საჯარო განხილვებსა და შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების, მოსაზრებებისა და	1.2.4.ა. გამოქვეყნდეს საჯარო შეხვედრების ოქმები 1.2.4.ბ. საჯარო განხილვების საფუძველზე	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო		

		იდეების ანალიზის საფუძველზე მომხდარია მათი ასახვა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და სამართლებრივ აქტებში	შემუშავდეს რეკომენდაციები 1.2.4.გ. რეკომენდაციები აისახოს განხორციელებულ ღონისძიებებსა და მიღებულსამართლებრივ აქტებში	მუ ნიციპალ იტ ეტ ის გენდ ერუ ლ თანასწორობის		
	1.3.დაინერგოს გენდერული სტატისტიკა	1.3.1 შემუშავდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები	შემუშავდეს სტატისტიკური ინფორმაციის მოკრებისა და განახლების წესი შემუშავდეს სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესი შემუშავდეს სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები	მუნიციპალიტ ეტის მერია მუნიციპალიტ ეტის საკრებულო	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკის ბიურო	2022 - 2023წ.
		1.3.2 შეიქმნას სქესის ნიშნით სეგრეგირებული, მათ შორის, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან /და მცხოვრები შშმპ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, მოხდეს მისი პერიოდული განახლება	შეიქმნას სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა გენდერულ ჭრილში პერიოდულად განახლდეს სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა	მუნიციპალიტ ეტის მერია, მუნიციპალიტ ეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	1.4.გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	1.4.1მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირებისთვის სპეციალური ტრენინგები გენდერულ თანასწორობაზე, გენდერულ მეინტრიმინგზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერულ სტატისტიკაზე, შრომით	ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	მუნიციპალიტ ეტის მერია მუნიციპალიტ ეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.

		უფლებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.				
		1.4.2 გენდერულ თანასწორობაზე საკითხებზე მომუშავე პირები და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები გადამზადდნენ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა ტრენინგში მონაწილეთა მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	1.5. ჩამოყალიბდეს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი	1.5.1 შემუშავდეს და დაინერგოს სამოქმედო გეგმისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა	მიღებული იქნეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი	მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		1.5.2 ჩატარდეს საბჭოს საქმიანობის შესახებ და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის პროექტის პრეზენტაცია მერიის და საკრებულოს თანამშრომლებისათვის	პრეზენტაციის მონაწილეთა სია ანგარიშის პროექტის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები	მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		1.5.3 მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილი იქნეს ცვლილებები	მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში ასახული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნეს ახალ სამოქმედო გეგმაში	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული თანასწორობის საბჭო	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	1.6. გაძლიერდეს თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სამოქალაქო სექტორიდან	1.6.1 შეიქმნას მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო სექტორის და მუნიციპალიტეტში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზა	გამოქვეყნდეს ორგანიზაციების მონაცემთა საინფორმაციო ბაზა	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“	2022 - 2023წ.

		1.6. წარმომადგენლებთან ჩატარდეს შეხვედრები მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პრობლემატურ საკითხებზე	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა შეხვედრებში მონაწილე ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა რაოდენობა	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო გენდერული თანასწორობის საბჭო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
2.მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალური პროგრამები და პროექტები დაგეგმილი და განხორციელებულია ქალების და კაცების, ბიჭების და გოგონების საჭიროებების გათვალისწინებით	2.1 დაინერგოს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი	2.1.1 ჩატარდეს მუნიციპალიტეტის ბოლო ერთი წლის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი	ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები ანალიზის შედეგები გამოქვეყნდეს	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	2.2.შემუშავდეს კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკა	2.2.1 ჩატარდეს კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევა, გენდერულ ჭრილში და მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები	კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		2.2.2 მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის კულტურათაშორის	დაგეგმილი კულტურული ღონისძიებები			

		ტოლერანტობის ხელშესაწყობად ცნობიერების ამაღლების კამპანია	ღონისძიებაში მონაწილე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა			
		2.2.3 მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებულ სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლის მიზნით ჩატარდეს არსებული მდგომარეობის ანალიზი გენდერულ ჭრილში და მომზადდეს შესაბამისი რეკომენდაციები	სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში ჩატარებული ანალიზის ანგარიში და რეკომენდაციები	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		2.2.5 სპორტულ ცხოვრებაში გოგონათა და ქალთა ჩართულობის პოპულარიზაცია	მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული იყოს შეხვედრა სადაც წარმოჩინებული იქნება წარმატებული ქალები	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
		2.2.6 მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მომზადდს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაცია ინფორმაცია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე, დაბეჭდილია და გავრცელებულია საინფორმაციო ბუკლეტი, მომხმარებლებთან თემში შეხვედრების დროს	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	2.3. სოფლად მცხოვრები, მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი	2.3.1 შესწავლილ იქნას მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების:	.სოფლად მცხოვრები, ეკომიგრანტი, შშმპ, ხანდაზმული, მარტოხელა მოხუცებთან	მუნიციპალიტეტის მერია	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.

	ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული ასპექტები	სოფლად მცხოვრები, ეკომიგრანტების, ხანდაზმულების, მარტოხელა მოხუცების, შშმ პირების საჭიროებები გენდერულ ჭრილში და მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება.	ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში .ჩატარებული საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები	მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის საკრებულო		
		2.3.2 განხორციელებულია ბავშვთა შრომითი უფლებების დაცვის მიზნით ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანია 2.3.3 საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის, ბავშვთა კონვენციის მუხლის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონვენციების და რეკომენდაციების შესაბამისად	საინფორმაციო მასალა ღონისძიებების რაოდენობა ბენეფიციარების რაოდენობა მიზნობრივი ჯგუფები: პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები, მოზარდები	მუნიციპალიტეტის მერია მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში	განათლების რესურს ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.
	2.4 დაიგეგმოს და გატარდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები	2.4.1 ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობის, ქორწინებაში მყოფ არასრულწლოვანთა სასწავლო პროცესში ხელახლა ჩართვისა და სკოლაში დაბრუნების, ასევე ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავალდებულო შესრულების შესახებ ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები	ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია) სამიზნე ჯგუფების რაოდენობა: სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მანდატურები, მშობლები, სოციალური მუშაკები	მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალიტეტის საკრებულო	სახალხო დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი ,,თანადგომა“	2022 - 2023წ.

		2.4.2 გატარდეს ღონისძიებები ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის	საკონსულტაციო/საინ ფრმაციო შეხვედრების რაოდენობა შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში და შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია)	მუნიციპალიტ ეტის მერია მუნიციპალიტ ეტის საკრებულო	არასამთავრობო ორგანიზაციები	2022 - 2023წ.